



სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის
2019 წლის ანგარიში


სარჩევი

- *სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები* 3
- *სტატისტიკური მონაცემები* 4
- *ტიპოლოგია* 10
- *ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა* 12
- *საკანონმდებლო ბაზა* 14
- *ტრენინგები და სემინარები* 15

- **სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ორგანო, ფუნქციონირებს 2004 წლიდან და თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით¹. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებულებების პირებისგან იღებს, ანალიზებს და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ან/და სხვა პრედიკატიული დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვალდებულებებთან ერთად, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები, ანგარიშვალდებულებების პირები, მათი საზედამხედველო ორგანოები და მათი ვალდებულებები.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის #658 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა შემდეგნაირია:



¹ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდა 2019 წლის 31 ოქტომბრიდან. კანონის ტექსტი გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/document/view/4690334?publication=0>. 2019 წლის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა, ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე (შესაბამისად, საანგარიშო წლის იანვარი-ოქტომბერი) მოქმედებდა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამჟამად მოქმედი სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის #517 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 31 საშტატო ერთეული.

- **სტატისტიკური მონაცემები**

„ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ანგარიშვალდებულ პირებს წარმოადგენენ:

- ფინანსური ინსტიტუტები: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი; არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი; სადაზღვევო ბროკერი, გადაზღვევის ბროკერი; ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; კომერციული ბანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საბროკერო კომპანია; საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; სადაზღვევო ორგანიზაცია; სალიზინგო კომპანია; სესხის გამცემი სუბიექტი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი;
- არაფინანსური ინსტიტუტები: ადვოკატი, საადვოკატო ბიურო; ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი; ნოტარიუსი; სერტიფიცირებული ბუღალტერი; იურიდიული პირი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი; აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ ამჟამად მოქმედი კანონის თანახმად, ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინონ ანგარიშგება საექვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ. საექვო გარიგებების გარდა, კანონის მიხედვით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს გარიგებათა სახეობებს, რომელთა შესახებ ანგარიშგება ანგარიშვალდებულმა პირმა სამსახურს უნდა წარუდგინოს².

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 31 ოქტომბრამდე მოქმედი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული იყვნენ სამსახურისთვის

² „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 25, პუნქტი 2.

მიწოდებინათ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები განსაზღვრული იყო „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, რომლის თანახმად მონიტორინგს ექვემდებარებოდა როგორც გარკვეული სახის გარიგებები 30 000 ლარს ზღვარს ზემოთ, აგრეთვე საექვო გარიგებები.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2019 წლის მანძილზე სამსახურში შემოსული ინფორმაციის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება³:

| ანგარიშვალდებული პირები | ანგარიშგების ფორმების საერთო რაოდენობა | მათ შორის ზღვარს ზემოთ | მათ შორის საექვო | მათ შორის ტერორიზმის დაფინანსება |
|--|--|------------------------|------------------|----------------------------------|
| კომერციული ბანკები | 130870 | 130185 | 685 | 22 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციები | 34377 | 34265 | 112 | 7 |
| სადაზღვევო კომპანიები | 137 | 134 | 3 | - |
| ნოტარიუსები | 7907 | 7906 | 1 | - |
| საბროკერო კომპანიები | 367 | 367 | - | - |
| ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი | 407 | 396 | 11 | - |
| ვალუტის გადამცვლელი პუნქტები | 26235 | 26221 | 14 | - |
| საბაჟო | 9456 | 9456 | - | - |
| ლატარიები და აზარტული თამ. მომწყ. პირები | 3044 | 2740 | 304 | - |
| სამორინე | 4350 | 4349 | 1 | 1 |
| საკრედიტო კავშირები | 13 | 13 | - | - |
| საჯარო რეესტრის ეროვნ. სააგენტო | 22235 | 22192 | 43 | - |
| საგადახდო მომსახურების პროვაიდერი | 1405 | 1361 | 44 | 10 |
| სალიზინგო კომპანიები | 824 | 824 | - | - |
| ადვოკატები | 1 | - | 1 | - |
| საბუღალტრო და აუდიტ. მომსახურების | - | - | - | - |


³ გასათვალისწინებელია რომ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული/გამოცემული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინარჩუნებს ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი ანგარიშვალდებული პირების მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის სტატისტიკა მომზადებულია 2019 წელს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

| | | | | |
|--------------------------|--------|--------|------|----|
| განმახორციელებელი პირები | | | | |
| სულ | 241628 | 240409 | 1219 | 40 |


გრაფიკულად 2019 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:




შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:




არასაფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2019წ.




თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2020 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 15 კომერციულ ბანკს, 2 საკრედიტო კავშირს, 50 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 18 სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 10 საბროკერო კომპანიას, 4 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 806 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 12 სალიზინგო კომპანიას და 46 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს.



კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2020 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 329 ნოტარიუსს, 296 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწიკობ პირს, 400 აუდიტორულ კომპანიას, 24 სამორინეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს (საბაჟო ორგანო) და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებს.




2019 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 128 საქმე (მათ შორის, 7 საქმე ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევებზე)⁴.



⁴ სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შემოსავლების სამსახურისთვის ანალიზის შედეგების გადაგზავნის ახალ ვალდებულებას ითვალისწინებს „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

აღსანიშნავია, რომ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენისას, მიუხედავად გარიგების თანხის ოდენობისა, ანგარიშვალდებულ პირს წერილობით მისცეს მითითება არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შესაბამისი გარიგების, აგრეთვე ამ გარიგებასთან ან/და ამ გარიგების მონაწილე პირთან დაკავშირებული სხვა გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების შეჩერების შესახებ.⁵ 2019 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება სამსახურის მიერ ორჯერ იქნა გამოყენებული. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების სტატისტიკა 2015 წლიდან შემდეგნაირად გამოიყურება:

გარიგების აღსრულების შეჩერების რაოდენობა



- ტიპოლოგია

2019 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, ანგარიშვალდებული პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილი შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდა სხვადასხვა თაღლითური გზებით (კომპიუტერულ სისტემებში ან ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებული შეღწევა, საბანკო ანგარიშის გატეხვა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა დოკუმენტაციაში, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, მოპარული პლასტიკური ბარათების მონაცემების არაავტორიზებული გამოყენება, ე.წ. “romance-scam“, ე.წ. “identity theft“ და ა.შ.) მოპოვებული თანხების ლეგალიზაციის მცდელობის ფაქტებზე. ბოროტმოქმედები თავიანთ ქმედებებში

⁵ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 36.

იყენებდნენ საბანკო ანგარიშებსა და სწრაფ ფულად გზავნილებს. მას შემდეგ, რაც თანხები საქართველოში მოხვდებოდა, შემდგომ ხდებოდა მათი გადარიცხვა/გადაგზავნა უცხოეთში ან საქართველოშივე განაღდება ბანკის სალაროდან ან ბანკომატებიდან.

ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა უკანონოდ დაუფლებული საბანკო ანგარიშებიდან/ბარათებიდან თანხების ონლაინ ტოტალიზატორების ანგარიშებზე გადატანა, ხოლო იქიდან თაღლითური სქემის მონაწილეების ანგარიშებზე გადარიცხვა. სოციალური ინჟინერიისა და ყალბი ვებ-გვერდების გამოყენებით მომხმარებელთა კონფიდენციალური საბანკო მონაცემების დაუფლება მზარდი ტრენდი იყო 2019 წლის განმავლობაში, ხოლო გამოყენებულ ინსტრუმენტებს წარმოადგენდნენ საბანკო ანგარიშები და ტოტალიზატორში დარეგისტრირებული მომხმარებლების ანგარიშები.

ბოლო პერიოდში უცხოეთში თაღლითურად მოპოვებული თანხების საქართველოში გადმორიცხვის ზემოაღწერილი სქემების დამახასიათებელი ატრიბუტი გახდა საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირების გამოყენება, რომელთა დასახელება იდენტურია საზღვარგარეთ მოქმედი ლეგიტიმური საერთაშორისო ფირმებისა. ამის საშუალებით ხდება თაღლითების მსხვერპლი უცხოელი მეწარმეების ყურადღების დეზორიენტაცია საერთაშორისო გადარიცხვის შესრულებისას. მსგავსი ფირმები ხშირ შემთხვევაში დარეგისტრირებულია ერთსა და იმავე მისამართზე საქართველოში. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა შესაბამისი სახელმძღვანელო მითითება გაუგზავნა კომერციულ ბანკებს.

2019 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავებისთვის გადაგზავნილი რიგი საქმეებისა ეხებოდა პირებს, რომელთა შესახებაც სამსახურის სარგებლობაში არსებულ მონაცემთა ბაზებში ფიგურირებდა ინფორმაცია მათი ამა თუ იმ დანაშაულთან შესაძლო კავშირის შესახებ. მათგან ზოგი იძებნებოდა უცხო ქვეყნის სამართალდამცავების მიერ ამავე ქვეყანაში ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისთვის, რამდენიმე პირი შეყვანილი იყო საერთაშორისო ე.წ. „შავ სიაში“, როგორებიცაა მაგალითად, ინტერპოლის ძებნილთა სია, აშშ-ის ხაზინის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი (OFAC) და სხვ.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილ საქმეთა უმნიშვნელო ნაწილი ეხებოდა საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირების მეშვეობით ირანისა და რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული სანქციების შესაძლო თავის არიდების მცდელობას მესამე ქვეყნებში დაფუძნებულ კომპანიებთან განხორციელებული ტრანზაქციების საშუალებით.

2019 წლის განმავლობაში კვლავ მიმდინარეობდა ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებული, თუმცა, საქართველოსთან რეალური ბიზნეს კავშირის არმქონე კომპანიების (მათ შორის, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დარეგისტრირებული ფირმების) ანგარიშების გამოყენება ფულადი სახსრების მიმოქცევისათვის - ხორციელდებოდა ჩარიცხვები და შემდგომი გადარიცხვები მესამე ქვეყნებში, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი კომპანიების ბრუნვა რამდენიმე მილიონი ლარის ეკვივალენტს აღწევდა. მსგავს სქემებს ახასიათებთ როგორც ჩამრიცხავების, ისე თანხის შემდგომი მიმღებების დიდი რაოდენობა, გეოგრაფიული მრავალფეროვნება, ტრანზაქციის დანიშნულების ზოგადი ხასიათი („საკონსულტაციო მომსახურებისთვის“, „მარკეტინგული მომსახურება“ და სხვ.), აგრეთვე, ტრანზაქციათა სქემაში რადიკალურად განსხვავებული სახეობების ბიზნესების არსებობა და ა.შ.

2019 წელს შედარებით გაიზარდა საქართველოში მოქმედი ქოლ-ცენტრების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა. მსგავსი კომპანიები უშუალო სატელეფონო კონტაქტს ამყარებენ პოტენციურ მომხმარებლებთან საზღვარგარეთ და სთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტის შეძენას, ინვესტიციის განხორციელებას და ა.შ. მართალია, ქოლ-ცენტრის საქმიანობა ლეგიტიმური ბიზნესია, თუმცა, რიგ შემთხვევაში თანხის გადახდის შემდეგ მომხმარებელი ან საერთოდ ვერ იღებს წინასწარშეთანხმებულ მომსახურებას ან იღებს გაცილებით დაბალი ხარისხის სერვისს (ე.წ. „ბოილერ-რუმ სკემი“). შემდეგ ეტაპზე ხდება ამ გზით მოზიდული თანხის გადარიცხვა სხვა ქვეყანაში ან ნაღდი სახით გატანა ბანკიდან.

მსგავსი, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბის, თაღლითობა შეინიშნებოდა საქართველოს მოქალაქეების მიმართაც. ამ შემთხვევებში უცნობი პირების მიერ მსხვერპლისთვის ე.წ. „მომსახურების“ ან „პროდუქტის“ შეთავაზება ხორციელდებოდა სოციალური ქსელების საშუალებით გზავნილების გაგზავნისა და რეკლამის განთავსების გზით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შეფასებით ეს ტრენდი სულ უფრო მზარდი ხასიათისაა.

- **ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა**


2019 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. ანგარიშვალდებული პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის სისტემატიური ურთიერთგაცვლა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მონაწილეობდა 2019-2021 წლების ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული

სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან. 2019 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული იყო 52 შეკითხვა, შესაბამისი პასუხი გაეცა ყველა მათგანს. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 52 შეკითხვა, აქედან პასუხი მიღებული იქნა 44 მათგანზე. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2019 წელს გაეგზავნათ ინფორმაცია ფულის გათეთრების 23 შესაძლო შემთხვევაზე, ხოლო უცხოელი კოლეგებისგან მიღებულ იქნა შეტყობინება 38 ანალოგიური ფაქტის თაობაზე.

მიღებული და გაგზავნილი შეკითხვები 2017–2019წწ.



საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის საშემფასებლო მისია შეფასების მეხუთე რაუნდის ფარგლებში 4-15 ნოემბერს ეწვია საქართველოს. მისიის ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტურობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან მათი შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის,

საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. საშემფასებლო მისიის მიერ მომზადებული საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში განიხილება და დამტკიცდება 2020 წელს ევროპის საბჭოს Moneyval-ის კომიტეტის მე-60 პლენარულ სხდომაზე.

საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს Moneyval კომიტეტის პლენარული სხდომების მუშაობაში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი შემფასებლად მიწვეული იყო Moneyval-ის კომიტეტის მიერ მოლდოვას მე-5 რაუნდის საშემფასებლო მისიაში.

2019 წლის მაისსა და ნოემბერში სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სუამ-ის სამდივნოს მიერ ორგანიზებულ კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის სხდომაში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აგრეთვე „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (C198-COP) ხელმომწერ მხარეთა მე-11 კონფერენციის მუშაობაში (2019 წლის 22-23 ოქტომბერი, სტრასბურგი).

- **საკანონმდებლო ბაზა**

2019 წელს დასრულდა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე ევროკავშირის დირექტივის (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council) მოთხოვნებთან საქართველოს ფულის გათეთრების პრევენციული კანონმდებლობის აპროქსიმაციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადებულ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტზე და მის მიღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებზე მუშაობა.

2019 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამის პაკეტთან ერთად, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის

შესახებ“. ახალი კანონითა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებისა და ზემოაღნიშნული ევროდირექტივის მოთხოვნების საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა რისკზე დამყარებული მიდგომის სრულყოფილი დანერგვა როგორც ეროვნულ და სექტორულ, აგრეთვე კერძო სექტორის დონეზე. ახლებურად დარეგულირდა საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციული მექანიზმები, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, გადაისინჯა ანგარიშვალდებული პირების სახეები და მათი ვალდებულებები, საზედამხედველო ორგანოების ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს, კერძოდ, 2019 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის #2257 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში და სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი მომზადდა FATF-ის სტანდარტების შესაბამისად და სხვა სახელმწიფოთა საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით. ანგარიშის მიზანია საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების ანალიზი, მათი შეფასება; ქვეყანაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე საჯარო და კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება. ანგარიშის ძირითადი მიგნებები ხელს შეუწყობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ რისკების პროპორციულად პრიორიტეტების განსაზღვრას და რესურსების სათანადო განაწილებას. ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ხელს შეუწყობს ფინანსურ და არაფინანსურ ინსტიტუტებს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გამოვლენაში. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ ფარგლებში მიმდინარე „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტის ეგიდით 2019 წლის 18 ოქტომბერს რელევანტური სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და ევროპის საბჭოს მიერ მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით, გაიმართა საქართველოს ეროვნული რისკების შეფასების ანგარიშის პროექტის პრეზენტაცია.

2019 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განახლების მიმართულებით. ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების შედგენა ხორციელდება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფისა (FATF) და გაეროს აღ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების (შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს #1267 (1999) და #1988 (2011) რეზოლუციების საფუძველზე) რეზოლუციებზე დაყრდნობით. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე გაეროს შესაბამისი

კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე მუდმივად ხდებოდა ცვლილებები და დამატებები ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიებში. ზემოაღნიშნული ცვლილებები გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა ანგარიშვალდებულ პირებს.

- **ტრენინგები და სემინარები**

2019 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება სხვადასხვა კატეგორიის ანგარიშვალდებული პირებისათვის. საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, აგრეთვე, დაესწრნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ:

- 2019 წლის 30-31 იანვარს თბილისში, ევროკავშირის მიერ ფულის გათეთრებისა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის თემაზე ორგანიზებულ სემინარში;
- 2019 წლის 21 მარტს კაჭრეთში, საქართველოს სათამაშო ბიზნესის ასოციაციის მიერ მოწყობილ კონფერენციაში „საქართველოში ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ“;
- 2019 წლის 7 – 13 აპრილს ოსტიაში, ევროსაბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) ტრენინგ-სემინარში მე-5 რაუნდის შემფასებლებისათვის;
- 2019 წლის 8 – 11 სექტემბერს, პარიზში, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) შეფასებისა და შესაბამისობის შეხვედრაში;
- 2019 წლის 24 – 28 სექტემბერს, მინსკში, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) მიერ ორგანიზებული რეგიონულ ტრენინგში „კრიპტოვალუტის ზრდა და მასთან დაკავშირებული რისკები: ნარკოტიკი, ფულის გათეთრება, კორუფცია“;
- 2019 წლის 13 - 26 ოქტომბერს, ბუდაპეშტში, ბუდაპეშტის საერთაშორისო სამართალდამცავთა აკადემიის (International Law Enforcement Academy - ILEA) მიერ მოწყობილ ტრენინგში „კრიპტოვალუტის უკანონოდ გამოყენების შემთხვევების გამოძიება“;

- 2019 წლის 25 – 27 ნოემბერს, თბილისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ სემინარში „ტრეფიკინგის საქმეების ფინანსური გამოძიების ძირითადი ასპექტები“;
- 2019 წლის 27 – 28 ნოემბერს, თბილისში, ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების გამოძიება და დევნა“.